საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი შ. მესხიას სახელობისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). დაარსდა 2007 წ. 13 ივლისს საქართვ. მთავრობის დადგენილებით (№145) თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ბაზაზე, რ-საც შეუერთდა სსიპ ზუგდიდის პროფ. ლიცეუმი და სენაკის აგრ.-ეკონ. კოლეჯი. საქართვ. მთავრობის 2008 წ. 15 მაისის დადგენილებით (№122) ზუგდიდის უმაღლეს საგანმან. დაწესებულებას ეწოდა შ. მესხიას სახ. ზუგდიდის სახელმწ. ინ-ტი, ხოლო საქართვ. მთავრობის 2009 წ. 9 ოქტ. დადგენილებით (№182) – ზ.ს.ს.უ. უნ-ტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია: სახელმწ. სასწ. გრანტი, სოც. დახმარება, სპეცსახსრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწ. სამეცნ. გრანტები. უნ-ტში მოქმედებს დღის სწავლების (დასწრებული) ფორმა, საბაკალავრო, სამაგისტრო, სახელობო და უმაღლესი პროფ. პროგრამები. უნ-ტს ჰყავს რექტორი, აკად. საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თსსუ-ში არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, ჯანდაცვის, აგრ. (მდებარეობს სენაკში) ფაკ-ტები. ფუნქციონირებს საბაკალავრო (ქართ. ენა და ლიტ-რა, ისტორია, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, სამართალმცოდნეობა, ფარმაცია), სამაგისტრო (ბიზნესის ადმინისტრირება, ქართ. ლიტ-რა, საქართვ. ისტორია), აგრეთვე პროფ. უმაღლესი საგანმან. [საბანკო საქმე, სოფლის მეურნ. სპეციალისტი (აგრ. მენეჯერი); ვეტერინარის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, ზოგადი პროფილის ექთანი] პროგრამები. უნ-ტს აქვს ორი სასწ. კორპუსი, სასწ. სახელოსნო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, მასწავლებელთა სახლი, სპორტდარბაზი, აგრ. მეურნეობა და ბ-კა. უნ-ტში ფუნქციონირებს ფარმაციის ლაბორატორია, უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, 4 კომპიუტერული ლაბორატორია, სტუდენტთა სამეცნ. წრე, ქართ. ქორეოგრაფიული ცეკვის ანსამბლი, თანამედროვე ცეკვების სტუდია, თეატრ. დასი, ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდები, ლიტერატორთა წრე, შემოქმედ სტუდენტთა კლუბი. გამოსცემს შრომათა კრებულს (2007-იდან). უნ-ტს

გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-თან.

ბ. მოსია